ხელშეკრულება № 127
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(წარმომადგენლობითი ხარჯები)

ქ. თბილისი **1 ნოემბერი 2016 წელი**

ჩვენ, ერთის მხრივ, **სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო** (შემდგომში - ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის **ანა კვარაცხელიას** სახით (**მის:** ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18; **ტელ:** 2960010; **ს/კ:** 204582763; **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900),
მეორეს მხრივ, **ი/მ სტელა დიაკონიძე** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") **ტელ:** 555338388; **ს/კ01021002984**; **საბანკო რეკვიზიტები:** სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22 ა/ა GE49BG0000000599719500

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (ო/კოდი 24010302) 2016 წლის დაფინანსების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროსთან თანამშრომლობით და GIZ-ის მხარდაჭერით, მენეჯერთა გადამზადების პროგრამასთან დაკავშირებული პოტენციური მონაწილეების შერჩევის ეტაპის ჩატარების დროს (რომელიც ტარდება მეწამეობის განვითარების საგენტოში), ლანჩის და ყავის შესვენების მომოსახურების შესყიდვა (CPV55511000).
1.2. მომსახურების მიწოდების ადგილია: მეწარმეობის განვითარების სააგენტო, ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18.
1.3. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 4-5 ნოემბერს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 861 (რვაას სამოცდაერთი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, ინვოსის, უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (არსებობის შემთხვევაში), მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
3.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსს ოთარ ანთიას, რომელიც არ იმყოფება „მიმწოდებელთან" ინტერესთა კონფლიქტში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს 2016 წლის 25 დეკემბრისა.

5. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო	ი/მ სტელა დიაკონიძე
დირექტორი	ს/კ 01021002984
ანა კვარაცხელია	სტელა დიაკონიძე
---	---